



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტი სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
8. 02. 2023

დასკვნის წარდგენის თარიღი
16/03/2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	6
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	12
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	12
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	24
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	32
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	35
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	44

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205304357
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხეთისო მამისიმედიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ მანჯგალაძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ქვათაძე, ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Georgian language preparation educational program
უმაღლესი განათლების საფეხური	-
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	-
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	-
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	მე-4 საფეხური
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 19. 11. 2019 წ. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N59
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	ერთიან ეროვნულ გამოცდებში მსობლიურ ენაზე (აფხაზურად/ აზერბაიჯანულად/ სომხურად/ ოსურად) ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა. ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტთა მიღების შესახებ შესაბამისი წესის პირობების დაკმაყოფილება. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელი) საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

	<p>მსურველები ვალდებული არიან წარმატებით გაიარონ შიდა სპორტული ტური.</p> <p>სტუდენტისთვის შესაბამისი ბლოკის შერჩევა ხორციელდება პირველი სემესტრის დასაწყისში გავლილი პრეტესტის შედეგების საფუძველზე.</p>
--	--

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴**

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2020 წლიდან. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულ ენას და სურვილი აქვთ ისწავლონ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე, სთავაზობს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წელს 19. 11. 2019-ის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N59.

ხელახალი აკრედიტაციისათვის გადამუშავდა პროგრამა და მოერგო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელს (ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის (07. 03. 2019) ოქმის #1 დანართი #2 და ქართული ენის ფლობის დონეების ზოგად აღწერილობას. საქართველოს მთავრობის #394 დადგენილება 30. 06. 2020 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0>

პროგრამის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ ქართული ენა ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობით განსაზღვრული B2 დონეზე, რათა სრულყოფილად ჩაერთონ საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში და სწავლა გააგრძელონ უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე, ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 6 23 0000067201 (24/01/2023) თანახმად 2023 წლის 8 თებერვალს სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით შემდეგი შემადგენლობით: ხვთისო

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

მამისიმედიშვილი, მარიამ მანჯგალაძე, ანი ქვათაძე. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დაიწყო გაცნობა. ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის შესაბამისობის დადგენის მიზნით კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

დასასრულ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინა ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

- სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა დაგეგმოს სტრატეგია, რათა მიიზიდოს ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტები. საჭიროა გაძლიერდეს საინფორმაციო კამპანია აბიტურიენტთა მოსაზიდად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ყველა რეგიონში პროგრამის გაცნობისა და მისი პოპულარიზაციის მიზნით.

- სასწავლო კურსის სილაბუსში „მედიაკურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის“, გამჭვირვალე შეფასების მექანიზმის გამოსაკვეთად, დაზუსტდეს და დეტალურად გაიწეროს შეფასების თითოეული კომპონენტი, რათა სტუდენტისთვის ნათელი გახდეს შესაბამისი ქულობრივი შეფასება.
- მოხდეს არჩევითი სასწავლო კურსების „ქართული ლიტერატურა მსოფლიო რუკაზე“ და „საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის“ ამოღება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამიდან, რადგან აღნიშნული პროგრამის სტუდენტთა ენის ფლობის დონე არ შეესაბამება ამ კურსებში შეტანილ სასწავლო მასალას, ხოლო დარჩენილი კრედიტები მოხმარდეს იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც გამოუმუშავებს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენისა და მეტყველების კომპეტენციებს, ან შეასწავლის დარგობრივ ლექსიკას.
- განახლდეს სასწავლო კურსებში მითითებული ნაწილობრივ მოძველებული და არამიზნობრივი ლიტერატურა თანამედროვე მიზნობრივი სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო მასალით.
- სასწავლო კურსში „ქართული მითოლოგია ენის შესასწავლად“ სტუდენტს მიეწოდოს მხოლოდ ადაპტირებული ტექსტები და ეს ცვლილება შესაბამისად აისახოს სასწავლო კურსის სილაბუსში.
- თუ პროგრამა სხვა ლოკაციაზე გააგრძელებს მუშაობას, მოხდეს პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ბაზის ხელახალი მონიტორინგი.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამაში მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რა კომპეტენციები ექნებათ სტუდენტებს სწავლის დასრულების შემდეგ (მაგ.: ენობრივი კომპეტენცია, დისკურსული, სოციოკულტურული, ინტერკულტურული).
- დაკონკრეტდეს სასწავლო საგნის „მედიაკურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის“ სახელწოდება და ეწოდოს „მულტიმედია ქართული ენის შემსწავლელთათვის“.
- სასწავლო კურსის - „ქართული მითოლოგია ენის შესასწავლად“ - სილაბუსის არჩევითი ლიტერატურის სიიდან ამოღებული იქნეს რ. გორდეზიანის „მითების სიბრძნე“, რადგან აღნიშნული გამოცემა არ შეესაბამება სტუდენტთა ენის ფლობის დონეს.
- სილაბუსში “ტოლერანტობა და მრავალფეროვნება” ძირითადი სახელმძღვანელოს ავტორები არასწორად არის მითითებული და უადრესად მნიშვნელოვანია, რომ სრულად და ზუსტად მიეთითოს ავტორები: თ. ქამუშაძე, რ. ჭუმბურიძე, მრავალფეროვნება და ტოლერანტობა: ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება: საკითხავი: ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტებისთვის; რედაქტორი: კახა გაბუნია; სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი; თბ. 2019;
- საგნის „მედიაკურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში აღინიშნოს, თუ რა სახის სასწავლო მასალას სთავაზობს სტუდენტს მითითებული ბმული.

- სასწავლო კურსის „ქართული მითოლოგია ენის შესასწავლად“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში არასწორად არის მითითებული სახელმძღვანელო: ნინო შარაშენიძე, ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკა, თბილისი, 2007. - აღნიშნული გამოცემა არ შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და ამოღებული იქნეს მითითებული ლიტერატურის სიიდან.
- ქართულ კულტურულ სივრცესთან ინტეგრაციის, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამის სტუდენტებისთვის რეგულარული გახადოს ექსტრაკურსული აქტივობები, როგორც არის ექსკურსია, მუზეუმებისა და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება და სხვ.
- სასურველია, ქართულ ენაში მომზადების პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგი ქართულის როგორც მეორე ენის სწავლებასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში გამოცემული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის შესახებ. ასევე ტრენინგი საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლების შესახებ.
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დახვეწის, განვითარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით სასურველია, სსიპ საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა ითანამშრომლოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების ანალოგიური პროგრამების პროფესორ-მასწავლებლებთან.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის შემუშავდეს CV-ის წარმოდგენის ერთიანი ფორმა და განახლდეს პერსონალთა პირადი საქმეები.
- სასურველია ქართულ ენაში მომზადების პროგრამის გარე შეფასების პროცესში დარგის ექსპერტების რაოდენობის ეტაპობრივი გაზრდა.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებულია, რომ რეკომენდაციების უმეტესობა სრულად არის გაზიარებული, ხოლო ერთი რეკომენდაცია - ნაწილობრივ. კერძოდ:

- სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა დაგეგმოს სტრატეგია, რათა მიიზიდოს ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტები. საჭიროა გაძლიერდეს საინფორმაციო კამპანია

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

აბიტურიენტთა მოსაზიდად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ყველა რეგიონში პროგრამის გაცნობისა და მისი პოპულარიზაციის მიზნით.

გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

- სასწავლო კურსის სილაბუსში „მედიაკურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის“, გამჭვირვალე შეფასების მექანიზმის გამოსაკვეთად, დაზუსტდეს და დეტალურად გაიწეროს შეფასების თითოეული კომპონენტი, რათა სტუდენტისთვის ნათელი გახდეს შესაბამისი ქულობრივი შეფასება.

სრულად გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

- მოხდეს არჩევითი სასწავლო კურსების „ქართული ლიტერატურა მსოფლიო რუკაზე“ და „საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის“ ამოღება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამიდან, რადგან აღნიშნული პროგრამის სტუდენტთა ენის ფლობის დონე არ შეესაბამება ამ კურსებში შეტანილ სასწავლო მასალას, ხოლო დარჩენილი კრედიტები მოხმარდეს იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც გამოუმუშავენ სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენისა და მეტყველების კომპეტენციებს, ან შეასწავლის დარგობრივ ლექსიკას.

ნაწილობრივ გაზიარებულია დაწესებულების მიერ. აღნიშნული რეკომენდაციის ფარგლებში დაწესებულებას მიაჩნია, რომ შესაძლებელია სასწავლო კურსების „ქართული ლიტერატურა მსოფლიო რუკაზე“ და „საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის“ მოდიფიცირება, რომ ამ კურსებმა შეითავსონ ენის ოთხი უნარის გაუმჯობესების კომპონენტები, რათა აღნიშნული სასწავლო კურსებით, ამასთანავე, განავითარონ ინტერკულტურული კომპეტენცია სტუდენტთა სახელმწიფოში ინტეგრაციისთვის. დაწესებულების აზრით, სასწავლო კურსის ასეთი სახით მოდიფიცირება ხელს შეუწყობს აღნიშნული კომპეტენციის განვითარებას. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ, ამ საგნებთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებების გარდა, ქართული ენის მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი არ ითვალისწინებს აღნიშნულ სასწავლო კურსებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა დაუახლოვდეს დარგობრივ მახასიათებელს.

- განახლდეს სასწავლო კურსებში მითითებული ნაწილობრივ მოძველებული და არამიზნობრივი ლიტერატურა თანამედროვე მიზნობრივი სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო მასალით.

სრულად გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

- სასწავლო კურსში „ქართული მითოლოგია ენის შესასწავლად“ სტუდენტს მიეწოდოს მხოლოდ ადაპტირებული ტექსტები და ეს ცვლილება შესაბამისად აისახოს სასწავლო კურსის სილაბუსში.

სრულად გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

- თუ პროგრამა სხვა ლოკაციაზე გააგრძელებს მუშაობას, მოხდეს პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ბაზის ხელახალი მონიტორინგი.

დაწესებულების ცნობით, ამ ეტაპზე პროგრამის სხვა ლოკაციაზე განხორციელება არ იგეგმება. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტს მოუწევს აღნიშნული პროგრამის სხვა ლოკაციაზე განხორციელება, კანონმდებლობის დაცვით აცნობებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი) შეესაბამება ინსტიტუციის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. საწავლო უნივერსიტეტს გათავისებული აქვს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამისვის კი მნიშვნელოვანია პირველ რიგში სახელმწიფო ენის სწავლება, რაც მისცემთ საშუალებას ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს მიიღონ უმაღლესი განათლება და შეძლონ ინტეგრაცია.

არსებული პროგრამა ხელს უწყობს არაქართულენოვან სტუდენტებს გაუმჯობესდეთ ენობრივი კომპეტენცია საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად, იგი ავითარებს ინტერკულტურულ კომპეტენციას სახელმწიფოში ინტეგრაციისათვის.

პროგრამის მიზნები გამოკვეთილია და გაწერილი ლოგიკურად, შეესაბამება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს (ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (07. 03. 2019) ოქმი #1, დანართი #2). პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს განუვითარდება ენობრივი კომპეტენციები საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნების მიხედვით, B2 დონეზე; სტუდენტი შეძლებს ქართულ ენაზე სწავლის გაგრძელებს საბაკალავრო პროგრამის სასურველ მიმართულებაზე; მიიღებს ცოდნას საქართველოს ინტერკულტურული გარემოს შესახებ; პროგრამა დაეხმარება სტუდენტს გახდეს მოქალაქე, რომელიც სრულფასოვნად აყალიბებს სათქმელს სახელმწიფო ენაზე და მონაწილეობას იღებს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

პროგრამა სულ სამი წელია, რაც ამოქმედდა და ჰყავს მხოლოდ რამდენიმე კურსდამთავრებული და მოქმედი სტუდენტი. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს სტუდენტთა რაოდენობა აღნიშნულ პროგრამაზე, რათა საქართველოს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის ხელმისაწვდომი იყოს უმაღლესი განათლების მიღება სსიპ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შესაბამისად, გასაძლიერებელია საინფორმაციო კამპანია აბიტურიენტთა მოსაზიდად, საჭიროა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ყველა რეგიონში ჩასვლა და პროგრამის გაცნობა, მისი პოპულარიზაცია. მომავალში, თავად ამ პროგრამის სტუდენტებიც გახდებიან ერთგვარი “ელჩები” რეგიონებიდან სტუდენტთა მოსაზიდად.

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია, განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დარგობრივი მახასიათებელი);
- ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა;
- სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა;
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა დაგეგმოს სტრატეგია, რათა მიიზიდოს ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტები. საჭიროა გაძლიერდეს საინფორმაციო კამპანია აბიტურიენტთა მოსაზიდად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ყველა რეგიონში პროგრამის გაცნობისა და მისი პოპულარიზაციის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები		X		

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და, რეალურად, შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს, ისე ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობას. იგი აერთიანებს დისციპლინით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას, ავტონომიურობას.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტს ჰქონდეს შემუშავებული კითხვის, წერის, ლაპარაკის და აქტიური მოსმენის ეფექტურ სტრატეგიები; შეძლოს ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის (პროფესიული მიზნებისთვის) ტექსტის მოსმენა, გაგება და ინტერპრეტაცია; პროფესიულ/მისთვის ნაცნობ თემებზე წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე თანმიმდევრულად ჩამოაყალიბოს აზრი წერილობითი ფორმით; გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის ლექსიკონი; დამოუკიდებლად მოიძიოს ინფორმაცია როგორც პირველადი, ისე მეორეული საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის / თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გამოკვეთოს ქართულ ენაზე სწავლის მიმართულელები და საჭიროები; აღიქვას კულტურული განსხვავებულობა და იყოს ტოლერანტული სხვა კულტურათა მიმართ; პატივი სცეს დემოკრატიულ ღირებულებებს და ჩამოყალიბებული ჰქონდეს სამოქალაქო ცნობიერება.

რეალურად, პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტს ექნება ლინგვისტური, სოციოლინგვისტური და პრაგმატული კომპეტენციები, რაც დაეხმარება სხვადასხვა აუდიტორიასთან, ანდა განსხვავებულ სიტუაციებში კომუნიკაციისას. სტუდენტი ითვისებს სოციოკულტურულ თავისებურებებს და მას ექნება სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენის, გაგებისა, თარგმნისა და ანალიზის უნარი. მას ასევე ექნება პასუხისმგებლობა ქართულის ენის სათანადოდ (B2 დონეზე) ცოდნის შესაძენად, რათა შეძლოს საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება და პროფესიის დაუფლება. ფაქტობრივად, პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს წარმატებულ კომუნიკაციას ქართულ ენაზე, სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისთვის, სხვადასხვა ტიპის (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი) ტექსტების ადეკვატურად გაგებას და შექმნას (ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა და მის ნაწილებს შორის კავშირის გაზიარებას).

პროგრამა პირველ სემესტრში დაყოფილია ბლოკებად სტუდენტთა საწყის ენობრივ კომპეტენციის მიხედვით. პრეტექსტის შედეგად განისაზღვრება, თუ რომელი ბლოკის სასწავლო კურსებს გაივლის სტუდენტი. პროგრამის დასრულებისას სწავლის შემდეგ შედეგებზე გადის სტუდენტი: ცოდნა და გაცნობიერება: 1. ფლობს კითხვის, წერის, ლაპარაკის და აქტიური მოსმენის ეფექტურ სტრატეგიებს. 2. ათვისებული აქვს ზოგადევროპული ჩარჩოს (CEFR) B2 დონის სათანადო ლექსიკა და იცის შესაბამის გრამატიკული კონსტრუქციები; უნარები: 3. შეუძლია ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის (პროფესიული მიზნებისთვის) ტექსტის მოსმენა, გაგება და ინტერპრეტაცია. 4. პროფესიულ/მისთვის ნაცნობ თემებზე წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე თანმიმდევრულად აყალიბებს აზრს წერილობითი ფორმით. 5. იყენებს ქართული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს. 6. დამოუკიდებლად მოიძიებს ინფორმაციას როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის/თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; პასუხისმგებლობა და ღირებულებები: 7. ადგენს ქართულ ენაზე საკუთარი სწავლის მიმართულელებსა და საჭიროებს. 8. აღიქვამს კულტურულ განსხვავებულობას და ტოლერანტულია სხვა კულტურათა მიმართ. 9. პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს. ჩამოყალიბებული აქვს სამოქალაქო ცნობიერება. ექსპერტებს ასევე მიგვაჩნია, რომ სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგებში გაიწეროს

და გამოიკვეთის თუ რა სახის ენობრივი, დისკურსული, სოციოკულტურული და ინტერკულტურული კომპეტენციები ექნებათ სტუდენტებს სწავლის დასრულების შემდეგ.

პროგრამის კურიკულუმში მიზნისა და სწავლის შედეგების ლოგიკურ კავშირი გამოსახულია შესაბამისი ცხრილის სახით. შედეგები ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული და გაზომვადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დარგობრივი მახასიათებელი);
- ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან და სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- პროგრამის თვითშეფასება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამაში მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რა კომპეტენციები ექნებათ სტუდენტებს სწავლის დასრულების შემდეგ (მაგ.: ენობრივი კომპეტენცია, დისკურსული, სოციოკულტურული, ინტერკულტურული).

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X			

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით; სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების სათანადო ფორმებსა და მეთოდებს, იძლევა სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას; პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის; ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდს, ინსტრუმენტებს და შეფასების განხორციელების პერიოდს. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შეფასებისას ეყრდნობა ორ მეთოდს: პირდაპირსა და ე.წ. არაპირდაპირს. დაწესებულება პირდაპირ შეფასებაში მოიაზრებს სასწავლო კურსებით განსაზღვრულ შუალედურ და დასკვნით გამოცდას. ე.წ. არაპირდაპირი შეფასება თვალისწინებს სტუდენტის ან კურსდამთავრებულის შეფასებას, საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ პროგრამის კურსდამთავრებულის შეფასებას. პროგრამის ფარგლებში თითოეული სასწავლო კურსისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნული, რომელიც ცალკეული დისციპლინის ფარგლებში იძლევა მისაღწევი სწავლის შედეგის მუდმივი შეფასების საშუალებას.

სტუდენტთა შეფასებებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა დადგინდეს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლების ხარისხი, სტუდენტების მომზადების დონე, შეფასების გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა და შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან. ტარდება სტუდენტებისა და აკადემიური კმაყოფილების კვლევა, რომლის შედეგებიც ანალიზდება სტუდენტთა შეფასებებთან მიმართება. კვლევის შედეგების განიხილვის შედეგად, ხორციელდება ცვლილებები, მაგ.: სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების მეთოდის/ფორმატის ცვლილება, სასწავლო მასალის მოცულობის კორექცია და სხვ. გამოკვეთილია შეფასების წესი: სტუდენტი ფასდება სემესტრის განმავლობაში მიღებული შედეგების და საგნის ცოდნის დონის ჩვენების მიხედვით, რაც გამოხატულია შეფასების კონკრეტული კომპონენტებით.

ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ.: სილაბუსში: “მედიაკურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის”) არ არის გამჭვირვალე შეფასების მექანიზმი, უნდა დაზუსტდეს და დეტალურად გაიწეროს თითოეული კომპონენტი, რომ სტუდენტისთვის ნათელი იყოს შესაბამისი ქულობრივი შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- გარე შეფასება ანალოგიური პროგრამის განმახორციელებელი უნივერსიტეტის მიერ;
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- პროგრამის შეფასება სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ;

- პროგრამის შემუშავების წესი თანდართული დოკუმენტებით (მათ შორის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

სასწავლო კურსის სილაბუსში „მედიაკურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის“, გამჭვირვალე შეფასების მექანიზმის გამოსაკვეთად, დაზუსტდეს და დეტალურად გაიწეროს შეფასების თითოეული კომპონენტი, რათა სტუდენტისთვის ნათელი გახდეს შესაბამისი ქულობრივი შეფასება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“, უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების

დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას; პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ - სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება. პროგრამა იმგვარადაა შედგენილი, რომ ხელს შეუწყობს სტუდენტებს ენობრივი პრობლემების გადალახვასა და ქართული ენის შესწავლაში, კურსის დასრულების შემდეგ კი სტუდენტები ბუნებრივად ჩაერთვებიან საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში და შეძლებენ სათანადო ცოდნის მიღებას.

პროგრამის ხანგრძლივობაა 1 აკადემიური წელი (2 სემესტრი), ხოლო მოცულობაა 60 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს. სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი, ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას.

სავალდებულო კურსები აგებულია საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინებით. პროგრამაში დაცულია კურსების ქრონოლოგიური წყობა. სწავლის პერიოდში სტუდენტი თანდათანობით გადადის მარტივიდან რთულ კურსზე. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა, რეალურად, უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნის მიღწევას და სწავლის შედეგზე გასვლას. პროგრამა არის ლოგიკურად დალაგებული და შინაარსობრივად განვითარებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია; შეძლებისდაგვარად, გათვალისწინებულია ახალი კვლევის შედეგები და სფეროს თანამედროვე მიღწევები.

პროგრამა ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს და ენობრივი დონის გათვალისწინებით ორ სხვადასხვა ბლოკს მოიცავს. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები, სასწავლო წლის დაწყებამდე გაივლიან პრეტესტს ქართულ ენაში და დადგენილი ენობრივი დონის მიხედვით გადანაწილდებიან მათთვის შესაბამის ბლოკში. ბლოკების მიხედვით გადანაწილებული სავალდებულო კურსები არსებითად მოიცავს ყველა საგანს, რომელთა გავლის შედეგად სტუდენტს ექნება სათანადო ცოდნა, ხოლო არჩევითი კურსები, ბლოკების მიხედვით, ან 4-ია, ან 8 არის, რაც, მინიმალური ცვლილების შეტანის საფუძველზე, უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნის მიღწევას და სწავლის შედეგზე გასვლას. პროგრამა, არსებითად, აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტს, თუმცა, არის დეტალები, რომელთა გათვალისწინებაც პროგრამის განვითარებისთვის უადრესად მნიშვნელოვანია: პროგრამიდან ამოსაღებია ზოგიერთი არჩევითი სასწავლო კურსი ამ საგნების კრედიტები, ჯობს, მოხმარდეს იმ კურსებს, რომლებიც შეასწავლის სტუდენტებს წერის, კითხვის, მოსმენისა და მეტყველების კომპეტენციებს, ან დარგობრივ ლექსიკას (იხ. სტანდარტი 1. 5).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.

- პროგრამის შემუშავების წესი თანდართული დოკუმენტებით (მათ შორის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი).
- პროგრამის შეფასება სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ.
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	X			

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სილაბუსების სტრუქტურა, ძირითადად, გამართულია: განსაზღვრულია სასწავლო კურსის სახელწოდება, სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი/ავტორ(ებ)ი, სასწავლო კურსის სტატუსი, ECTS კრედიტები და საათების განაწილება, დაშვების წინაპირობები, სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის

მეთოდები, შეფასების სისტემა, სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, დამხმარე ლიტერატურა, სასწავლო გეგმა...

სასწავლო კურსების კრედიტები შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3-ით გათვალისწინებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესს.

სტუდენტის საქმიანობა გულისხმობს შემდეგს: ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მეცადინეობებს, შუალედური და ფინალური გამოცდებისთვის მომზადებასა და ჩაბარებას და ფასდება კრედიტით. თითო კრედიტი 25 ასტრონომიული საათია.

სასწავლო კურსებში განსაზღვრულია სამიზნე ნიშნული დაგეგმილი მისაღწევი შედეგის გასაზომად. სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. ძირითადად, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები პირდაპირ კავშირშია ამავე კურსების კვირის თემატიკასთან და ამ კურსის საკონტაქტო საათების რაოდენობასთან, მათი მიღწევა იზომება მისაღწევი სწავლის შედეგის შესაბამისი შეფასების მეთოდით.

საგანმანათლებლო პროგრამა, მიცემული რეკომენდაციების საფუძველზე გადამუშავდა და სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების შესაბამისად, მოხდა სასწავლო კურსის დიფერენცირება დარგობრივი საკომუნიკაციო ენის კომპონენტების გაძლიერების მიზნით და რეაბილიტაციის და სასპორტო განათლებით დაინტერესებული პირებისთვის შემუშავდა ცალც-ცალკე კურსები, დაემატა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სასწავლო კურსი. პროგრამისთვის ახალი კურსია „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“; „მედიაკურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის“ არჩევითი ბლოკიდან ძირითად ბლოკში გადმოიტანეს, ხოლო „ქართული ენის კომუნიკაციურ ასპექტებს“ პრაქტიკული კურსის სახე მიეცა.

სილაბუსების ნაწილში, მაგ.: ქართული ენა (მოსმენა, კითხვა, ზეპირი მეტყველება, წერა) - ძირითად ლიტერატურად მითითებულია ქართულის, როგორც უცხო ენისათვის სპეციალურად მომზადებული ელ. მასალა ([GeoFL](#)), როდესაც გამოცემულია და აპრობირებული მიზნობრივი სახელმძღვანელოები არაერთ უნივერსიტეტში და არსებობს ეთნიკური უმცირესობებისათვის სპეციალურად შექმნილი ელექტრონული რესურსი ([ELEARNING \(ice.ge\)](#)).

რიგი გაუმჯობესების მიუხედავად, ზოგიერთი სილაბუსი გადახედვას საჭიროებს.. უფრო დეტალურად აღწერთ, კონკრეტულ შემთხვევებში არის თუ არა დამლევადი მასალა, რომელსაც ქართულ ენაში მომზადების პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს:

საგანი “მედიაკურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის”: როგორც სილაბუსში წერია, პროგრამის მიზანია, არაქართულენოვანმა სტუდენტმა შეისწავლოს ქართული ენა, შეძლოს ქართულ ენაზე სწორი და გამართული მეტყველება აუდიოსაშუალებების დახმარებით, რათა გაუადვილდეს ზეპირი

კომუნიკაცია ყოველდღიურ ყოფით საკითხებზე... მედიაკურსი, თავისი შინაარსით, აბსოლუტურად განსხვავებულ სასწავლო მასალას უნდა სთავაზობდეს სტუდენტს, ამ სილაბუსის მიხედვით კი სტუდენტები უსმენენ ზღაპრებს და უყურებენ მულტიპლიკაციურ ფილმებს. ხშირ შემთხვევაში, იქ, სადაც წერია “მოკლე კომენტარი მულტფილმის შესახებ, მისი ჩვენება” - რეალურად აუდიომასალა მიწოდებული და საშინაო დავალებად მიცემულია: „ამავე ფილმის ნახვა, მოსმენა. განვლილი მასალის გამოკითხვა...”. აქედან გამომდინარე, ალბათ უფრო გამართლებული იქნება, რომ სასწავლო კურსს ეწოდოს „მულტიმედია ქართული ენის შემსწავლელთათვის“. ამავე სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ ზღაპრებისა და მულტიპლიკაციური ფილმების ელ. ბმულები. მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსში სიტყვიერად აღინიშნოს, თუ რა სახის სასწავლო მასალას სთავაზობს სტუდენტს მითითებული ბმული.

შეიცვალოს სავალდებულო ლიტერატურა სილაბუსებში: ინტეგრაცია 1, ინტეგრაცია 2, რადგან ძირითად ლიტერატურაში სილაბუსებში მითითებულია გრამატიკის სახელმძღვანელოები (ორივე სილაბუსში ერთი და იგივე სახელმძღვანელო: 1. გეგუჩაძე, ლეილა. 2004. ქართული ენა უცხოელთათვის, მოკლე გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; 2. გეგუჩაძე, ლეილა. 1997. ქართული ენა. თბილისი). სილაბუსის თემატიკიდან გამომდინარე, ერთ-ერთ სასწავლო წყაროდ დაემატოს - [ELEARNING \(ice.ge\)](http://ice.ge) - რადგან შეიძლება თემატური მასალის შერჩევა, რომელსაც ახლავს სავარჯიშოები და ლექსიკონები მიზნობრივი აუდიტორიისათვის, ანდა, სილაბუსის ავტორმა უნდა შეარჩიოს სხვა მიზნობრივი ძირითადი ლიტერატურა.

სილაბუსში “ტოლერანტობა და მრავალფეროვნება” ძირითადი სახელმძღვანელოს ავტორები არასწორად არის მითითებული და უადრესად მნიშვნელოვანია, რომ სრულად და ზუსტად მიეთითოს ავტორები: თ. ქამუშაძე, რ. ჭუმბურიძე, მრავალფეროვნება და ტოლერანტობა: ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება: საკითხავი: ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტებისთვის; რედაქტორი: კახა გაბუნია; სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრი; თბ. 2019;

არჩევითი სასწავლო კურსები „ქართული ლიტერატურა მსოფლიო რუკაზე“ და „საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი“ მიგვაჩნია საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის საგნის დაძლევის პრობლემის შემცველად, რადგან აღნიშნული პროგრამის სტუდენტთა ენის ფლობის დონე არ შეესაბამება ამ კურსებში შეტანილ სასწავლო მასალას. ცალკეული მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის შესახებ ისედაც გვხვდება პროგრამის სხვა სასწავლო კურსებში. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს პროგრამაში ჩართული არჩევითი საგნების „ქართული ლიტერატურა მსოფლიო რუკაზე“ და „საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის“ ამოღება და ეს კრედიტები მოხმარდეს იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც გამოუმუშავენ სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენისა და მეტყველების კომპეტენციებს და ან შეასწავლის დარგობრივ ლექსიკას.

სასწავლო კურსში „ქართული მითოლოგია ენის შესასწავლად“ სტუდენტს მიეწოდოს მხოლოდ ადაპტირებული ტექსტები და ეს ცვლილება აისახოს სილაბუსში. ამავე სასწავლო კურსის სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში არასწორად არის მითითებული სახელმძღვანელო: ნინო შარაშენიძე, ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკა, თბილისი, 2007. - შესაცვლელია ეს წიგნი, რადგან აღნიშნული გამოცემა არ შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს.

სასწავლო კურსის - „ქართული მითოლოგია ენის შესასწავლად“ - სილაბუსის არჩევითი ლიტერატურის სიიდან ამოღებული იქნეს რ. გორდეზიანის „მითების სიბრძნე“, რადგან აღნიშნული გამოცემა არ შეესაბამება ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტთა ენის ფლობის დონეს.

ქართული ენის მომზადების პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში არ გვხვდება უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები და გამოცემები, როგორცაა: ჭ. ქირია, ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა, 2022; მ. ქაჯაია და კ. გეწამე, ზოგადი კურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის (კითხვა / წერა / ლაპარაკი / მოსმენა); თბ., 2015; ნ. პოპიაშვილი, ვისწავლოთ ქართული ენა თამაშით, სავარჯიშოები ქართული ენის შემსწავლელთათვის, 2020 (რიდერი); ქართული ენის სამეტყველო უნარ-ჩვევები (ლაპარაკი, მოსმენა - Reader), შემდგენლები: კ. გაბუნია, ნ. გორგაძე, ე. ჯაჯანიძე და სხვ.; 2013; ჭ. ქირია, ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა, თბ., 2016; გაფრინდაშვილი, ა. თოდუა, ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი/მოსმენა), მოსასმენი ტექსტები და ტესტები ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტებისათვის (რედ. კ. გაბუნია), თბილისი, 2019; ნ. პოპიაშვილი, დარგობრივი ენა (მედიცინა და ჯანდაცვა) 2020 (რიდერი); ქართული ენის სწავლების ელექტრონული კურსი - [ELEARNING \(ice.ge\)](http://ELEARNING(ice.ge)), პროექტის ავტორები: მარიამ მანჯგალაძე, ქეთევან გოჩიტაშვილი. ზოგადად, სილაბუსების ძირითად ნაწილში, გადასამუშავებელია მითითებული სავალდებულო ლიტერატურა, რადგან ბოლო პერიოდში უშუალოდ ქართულ ენაში მომზადების პროგრამისთვის შეიქმნა მეტად მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები. სასწავლო კურსების სილაბუსები უნდა შეიცვას თანამედროვე, მიზნობრივი სახელმძღვანელოებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.
- საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან გაფორმებული ხელშეკრულება.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (07. 03. 2019) ოქმის #1, დანართი #2.
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდი.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- მოხდეს არჩევითი სასწავლო კურსების „ქართული ლიტერატურა მსოფლიო რუკაზე“ და „საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის“ ამოღება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამიდან, რადგან აღნიშნული პროგრამის სტუდენტთა ენის ფლობის დონე არ შეესაბამება ამ კურსებში შეტანილ სასწავლო მასალას, ხოლო დარჩენილი კრედიტები მოხმარდეს იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც გამოუმუშავენ სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენისა და მეტყველების კომპეტენციებს, ან შეასწავლის დარგობრივ ლექსიკას.
- განახლდეს სასწავლო კურსებში მითითებული ნაწილობრივ მოძველებული და არამიზნობრივი ლიტერატურა თანამედროვე მიზნობრივი სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო მასალით.
- სასწავლო კურსში „ქართული მითოლოგია ენის შესასწავლად“ სტუდენტს მიეწოდოს მხოლოდ ადაპტირებული ტექსტები და ეს ცვლილება აისახოს სილაბუსში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დაკონკრეტდეს სასწავლო საგნის „მედიაკურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის“ სახელწოდება და ეწოდოს „მულტიმედია ქართული ენის შემსწავლელთათვის“.
- სასწავლო კურსის - „ქართული მითოლოგია ენის შესასწავლად“ - სილაბუსის არჩევითი ლიტერატურის სიიდან ამოღებული იქნეს რ. გორდეზიანის „მითების სიბრძნე“, რადგან აღნიშნული გამოცემა არ შეესაბამება სტუდენტთა ენის ფლობის დონეს.
- სილაბუსში “ტოლერანტობა და მრავალფეროვნება” ძირითადი სახელმძღვანელოს ავტორები არასწორად არის მითითებული და უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სრულად და ზუსტად მიეთითოს ავტორები: თ. ქამუშაძე, რ. ჭუმბურიძე, მრავალფეროვნება და ტოლერანტობა: ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება: საკითხავი: ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტებისთვის; რედაქტორი: კახა გაბუნია; სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრი; თბ. 2019;
- საგნის „მედიაკურსი ქართული ენის შემსწავლელთათვის“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში აღინიშნოს, თუ რა სახის სასწავლო მასალას სთავაზობს სტუდენტს მითითებული ბმული.
- სასწავლო კურსის „ქართული მითოლოგია ენის შესასწავლად“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში არასწორად არის მითითებული სახელმძღვანელო: ნინო შარაშენიძე, ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკა, თბილისი, 2007. - აღნიშნული გამოცემა არ

შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და ამოღებული იქნეს მითითებული ლიტერატურის სიიდან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხდება დადგენილი კანონმდებლობისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციების მიხედვით.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება იმ აბიტურიენტების, რომლებიც არიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები და სათანადოდ ვერ ფლობენ ქართულ ენას და რომლებსაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-3 და 52-ე მუხლის 12 პუნქტის თანახმად, ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვთ მხოლოდ ერთ-ერთი შემდეგი ტესტი: ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტი, ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტი, ოსური ტესტი და აფხაზური ენის ტესტი. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მწვრთნელთა ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების მსურველმა აბიტურიენტებმა წარმატებით უნდა გაიარონ ტესტირება ფიზიკურ მომზადებაშიც.

რადგან პროგრამა ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, ენობრივი დონის გათვალისწინებით მოიცავს ორ სხვადასხვა ბლოკს, სწავლის დაწყებამდე სტუდენტები აბარებენ პრეტესტს ქართულ ენაში და, დადგენილი ენობრივი დონის მიხედვით, ისინი გადანაწილდებიან მათთვის შესაბამის ბლოკში.

აღსანიშნავია, რომ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. ინფორმაციის საჯაროობა უზრუნველყოფილია და გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე დაინტერესებული მხარის მიერ შეუფერხებლად წვდომის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-3 და 52-ე მუხლის მე-3 და მე-12 პუნქტები.

- სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისაღები (შიდა) სპორტული ტურის დებულება (მუხლი 1. 2.7).
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

